ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სათათბიროს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სათათბირო წარმოადგენს ზუგდიდის ადგილობრივი თვითმმართველობის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

2. ეს დებულება განსაზღვრავს ახალგაზრდული სათათბიროს მიზანს, უფლებამოსილებას და სტრუქტურას, მისი წევრების არჩევის წესს, უფლება-მოვალეობებს, მუშაობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. ახალგაზრდული სათათბიროს მიზანი

1. ახალგაზრდული სათათბიროს მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2. ამ მიზნის მისაღწევად ახალგაზრდული სათათბირო:

ა) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;

ბ) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მერიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების პროგრამების დაგეგმვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, რომლებიც ეხებათ ახალგაზრდებს და შეიმუშავებს შესაბამისს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესების მიზნით;

გ) მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში და ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის განხორციელებაში;

დ) შეისწავლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს და შეიმუშავებს შესაბამისს წინადადებებს და რეკომენდაციებს მათი უზრუნველყოფის მიზნით;

ე) ახდენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებას მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ;

ვ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისა და საზოგადოების ინფორმირებას ახალგაზრდობის სფეროში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ;

ზ) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა სფეროებში.

მუხლი 3. ახალგაზრდული სათათბიროს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ახალგაზრდულისათათბიროს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) საჯაროობა;

ბ) კოლეგიურობა;

გ) კანონიერება;

დ) ახალგაზრდების აზრის გათვალისწინება;

ე) ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა;

ვ) ანგარიშვალდებულება ახალგაზრდების წინაშე;

ზ) გამჭვირვალობა;

თ) თანასწორობა;

ი) მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება.

მუხლი 4. ახალგაზრდული სათათბიროსშემადგენლობა

1. ახალგაზრდული სათათბირო შედგება 16 წევრისგან. (თავმჯდომარე და 15 წევრი)

2. ახალგაზრდული სათათბირო წევრი შეიძლება იყოს 14-29 წლის ახალგაზრდა, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და რეგისტრირებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.
3. ამ დებულების მიზნებისთვის ახალგაზრდა არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 14-29 წლის პირი.

მუხლი 5. ახალგაზრდული სათათბიროს წევრების შერჩევის წესი
1. ახალგაზრდული სათათბიროს წევრები შეირჩევა 1 წლის ვადით კონკურსის საფუძველზე სპეციალური კომისიის მიერ. კომისია დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ პარიტეტულ საწყისებზე. კონკურსის ჩატარების წესს, ვადებსა და პირობებს, ასევე სპეციალური კომისიის დაკომპლექტებისა და მუშაობის წესს ადგენს მუნიციპალიტეტის მერი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესის ახალგაზრდული პროგრამების მართვისა და სტრატეგიული განვითარების განყოფილებასთან ერთად.
2. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის შერჩევის კრიტერიუმებია:

- მაღალი მოტივაცია;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის გამოცდილება;
- დრო და შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთოს ახალგაზრდული სათათბიროსმუშაობაში და დაესწროს ახალგაზრდული სათათბიროს შეხვედრებს;
- ძლიერი ანალიტიკური და ინტერპერსონალური კომპეტენციები.

3. ახალგაზრდული სათათბიროს წევრების შერჩევის წესი გაითვალისწინებს თანაბარი პირობების შექმნას ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა გენდერული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და სხვა მდგომარეობისა.

მუხლი 6. ახალგაზრდული სათათბიროს წევრი
1. ახალგაზრდული სათათბიროს წევრი არის ამ დებულების შესაბამისად არჩეული ახალგაზრდა.
2. ახალგაზრდული სათათბიროს წევრი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს უშუალოდ. დაუშვებელია ახალგაზრდული სათათბიროს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემა.

მუხლი 7. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და/ან შეჩერება
1. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება, თუ:
ა) უფლებამოსილება მოეხსნა პირადი განცხადებით;
ბ) სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა;
გ) დაიწყო მუშაობა საჯარო სამსახურში;
დ) არასაპატიო მიზეზით წლის განმავლობაში 5-ჯერ არ მონაწილეობის შემთხვევაში ახალგაზრდული სათათბიროს მუშაობაში და ახალგაზრდული სათათბიროს სხდომებზე.
2. ახალგაზრდული სათათბიროს წევრს უფლებამოსილება უჩერდება სასამართლოს მიერ ახალგაზრდული სათათბიროს წევრისთვის აღმინისტრაციული სახდელის სახით აღმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში. უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება აღმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით.
3. ახალგაზრდული სათათბირო ახალგაზრდული სათათბიროს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის და/ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ახალგაზრდული სათათბიროს წევრის ან ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორის წარდგინების საფუძველზე.

4. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის ვადამდე შეწყვეტის ან შეჩერების გადაწყვეტილებას ახალგაზრდული სათათბიროს იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე.
5. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის და შეჩერების დამატებით წესს ადგენს ახალგაზრდული სათათბირო.

მუხლი 8. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის მოვალეობები
ახალგაზრდული სათათბიროს წევრი მოვალეა:
ა) დაიცვას ეს დებულება;
ბ) მონაწილეობა მიიღოს ახალგარდული სათათბიროს სხდომებსა და მუშაობაში;
გ) ამ დებულების მე-17 მუხლით დადგენილი წესით შეხვდეს ახალგაზრდებს;
დ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება და/ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;
ე) დაიცვას ამ დებულებით დადგენილი ქცევის სტანდარტები;
ვ) ამ დებულების მე-18 მუხლით დადგენილი წესით ჩააბაროს ანგარიში ახალგაზრდებს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 9. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის უფლებები
1. ახალგაზრდული სათათბიროს წევრს უფლება აქვს:
ა) ახალგარდული სათათბიროს სხდომაზე დასვას საკითხი განსახილველად, შეიტანოს წინადადებები ახალგაზრდული სათათბიროს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დასვას, მიიღოს და შეაფასოს პასუხები, გააცნოს ახალგაზრდულ სათათბიროს ახალგაზრდების მოსაზრებები და მიმართვები;
ბ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს მერიის სტრუქტურული ერთეულების, საკრებულოს, საკრებულოს კომისიის და სამუშაო ჯგუფის სხდომებსა და შეხვედრებში;
გ) კითხვით მიმართოს მერს, მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, საკრებულოს და საკრებულოს კომისიას, უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში, მიიღოს და შეაფასოს გაცემული პასუხები;
დ) დაუყონებლივ მიიღოს და ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა;
ე) შეუფერხებლად შეხვდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირს.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი
1. დაუშვებელია, რომ ახალგაზრდული სათათბირო:
ა) ეწეოდეს პოლიტიკურ და/ან საარჩევნო აგიტაციას და მონაწილეობდეს წინასაარჩევნო კამპანიაში;
ბ) იღებდეს დაფინანსებას და/ან რაიმე სახის მატერიალურ რესურსებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან, გარდა აღმინისტრაციული, ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერისა;

დ) მოქმედებდეს პოლიტიკური სუბიექტის სახელით.
2. დაუშვებელია, რომ ახალგაზრდული სათათბიროს წევრი:
ა) ეწეოდეს პოლიტიკურ და/ან საარჩევნო აგიტაციას და მონაწილეობდეს წინასაარჩევნო კამპანიაში მისი უფლებამოსილების ფარგლებში და/ან ახალგაზრდული სათათბიროს წევრის სტატუსით და სახელით;
ბ) იღებდეს ანაზღაურებას მისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის;
გ) მოქმედებდეს პოლიტიკური სუბიექტის სახელით მისი უფლებამოსილების ფარგლებში და/ან ახალგაზრდული სათათბიროსწევრის სტატუსით და სახელით;

დ) იყენებდეს ისეთ ატრიბუტიკასა თუ სიმბოლიკას, რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან ასოცირდება მისი უფლებამოსილების ფარგლებში და/ან ახალგაზრდული სათათბიროს წევრის სტატუსით და სახელით.
3. ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში, ახალგაზრდული სათათბიროს წევრი და/ან ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორი წარდგინებით მიმართავს ახალგაზრდულ სათათბიროს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. წარდგინება განიხილება სათათბიროსუახლოეს სხდომაზე და გადაწყვეტილება ახალგაზრდული საათათბირო წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 11. ახალგაზრდული სათათბიროს მუშაობის საერთო წესი
1. ახალგაზრდული სათათბიროს მორიგი სხდომა ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ.
2. ახალგაზრდული სათათბიროს მორიგ სხდომას იწვევს ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე.
2. ახალგაზრდული სათათბირო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება (მიმართვა, შუამდგომლობა, განცხადება, რეკომედაცია და სხვ).
3. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომა უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება ახალგაზრდული სათათბიროს სიითი შემადგენლობის ნახევარი.
4. ახალგაზრდული სათათბირო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. ახალგაზრდული სათათბიროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინება მერს და ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელ სამსახურს. იმ წევრებს რომლებსაც ექნებათ განსხვავებული მოსაზრებები მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, მერს წარუდგინონ ალტერნატიული მოსაზრებები.
6. ახალგაზრდული სათათბიროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორს და ახალგაზრდული სათათბიროს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს.
7. ახალგაზრდული სათათბიროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ წინადადების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას. თუ ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე არ მოიწვევს რიგგარეშე სხდომას, ახალგაზრდული სათათბიროს უფლებამოსილია შეიკრიბოს.
8. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომებზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს.

მუხლი 12. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე და სტუქტურა
1. ახალგაზრდულ სათათბიროს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან, 1 წლის ვადით, ირჩევს ახალგაზრდული სათათბირო ფარული კენჭისყრით.
2. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე:
ა) ახორციელებს ახალგაზრდული სათათბიროს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;
ბ) უძღვება ახალგაზრდული სათათბიროს მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს ახალგაზრდული სათათბიროს საქმიანობას;
გ) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და დასრულებულად აცხადებს ახალგაზრდული სათათბიროს მორიგ და რიგგარეშე სხდომებს;
დ) უძღვება სხდომებზე საკითხების განხილვას;
ე) უზრუნველყოფს სხდომის ჩატარების პროცედურების დაცვას;
ვ) ადგენს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თანმიმდევრობას;
ზ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
თ) ახალგაზრდული სათათბიროს წევრებთან შეთანხმებით ადგენს ახალგაზრდული სათათბიროს წევრების ახალგაზრდებთან შეხვედრის განრიგს;

ი) უზრუნველყოფს ახალგაზრდული სათათბიროს და ახალგაზრდული სათათბიროს წევრთა უფლებების დაცვას.

3. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ახალგაზრდული სათათბიროს წინაშე.

4. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც ადგენს და აქვეყნებს ახალგაზრდული სათათბიროს მუშაობის ანგარიშს.

5. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ახალგაზრდული სათათბიროს არანაკლებ 3 წევრს.

6. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის არჩევა ხდება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. თუ ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნებში 1 კანდიდატი მონაწილეობდა და მან ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები.

7. თუ ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნებში 2 ან მეტი კანდიდატი მონაწილეობს და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება არჩევნების მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომელთაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. მეორე ტურში თავმჯდომარედ აირჩევა ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. თუ ორივე კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო, იმართება ხელახალი არჩევნები.

8. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.

9. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს თავისი შემადგენლობიდან, 1 წლის ვადით, ირჩევს ახალგაზრდული სათათბირო ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

10. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.

11. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან გადაყენებისას (გადადგომისას) და ეხმარება მას მისი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების განხორციელებაში.

12. ახალგაზრდული სათათბირო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარე და/ან მისი მოადგილე.

13. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის და/ან მისი მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების წინადადება შეიძლება დააყენოს ახალგაზრდული სათათბიროს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა ან ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორმა.

14. ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის და/ან მისი მდივნის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

15. ახალგაზრდული სათათბიროს სტრუქტურას ადგენს ახალგაზრდული სათათბირო ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.



მუხლი 13. ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორი

1. ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორი არის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ახალგაზრდულ სათათბიროში, რომელის იქნება წარმოადგენილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდან, კერძოდ კი ახალგაზრდული პროგრამების მართვისა და სტრატეგიული განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი.

2. ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორი მონაწილეობს ახალგაზრდული სათათბიროს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

3. ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორი:

ა) მონაწილეობს ახალგაზრდული სათათბიროს წევრების არჩევნების ორგანიზებაში;

ბ) უზრუნველყოფს ახალგაზრდული სათათბიროს სხდომების ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებას;

გ) იწვევს ახალგაზრდული სათათბიროს რიგგარეშე სხდომას საჭიროებიდან გამომდინარე;

დ) მიმართავს ახალგაზრდულ სათათბიროს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის და/ან შეჩერების წინადადებით ამ დებულების მე-7 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესით;

ე) მიმართავს ახალგაზრდულ სათათბიროს ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარის და/ან მისი მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების წინადადებით ამ დებულების მე-12 მუხლის შესაბამისად;

ვ) უზრუნველყოფს ახალგაზრდული სათათბიროს მუშაობასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებას;

ზ) უზრუნველყოფს მერის ინფორმირებას ახალგაზრდული სათათბიროს სხდომებისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

მუხლი 14. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომა

1. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომა საჯაროა.

2. ინფორმაცია ახალგაზრდული სათათბიროს სხდომის, ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ ქვეყნდება 3-4 დღით ადრე მაინც.
3. ნებისმიერ პირს უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე, დაესწროს ახალგაზრდული სათათბიროს სხდომას.
4. ახალგაზრდული სათათბიროს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება, წინასწარ შეიტანოს საკითხი სხდომის დღის წესრიგში.
5. ახალგაზრდული სათათბიროს წევრი ვალდებულია, გამოცხადდეს ახალგაზრდული სათათბიროს სხდომაზე სპეციალური მოწვევის გარეშე.
6. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომა იწყება წევრთა რეგისტრაციით.
7. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს თავმჯდომარე. მისი არ ყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს თავმჯდომარის მოადგილე და თავმჯდომარის მოადგილის არ ყოფნის შემთხვევაში, თავმდომარის გადაწყვეტილებით ახალგაზრდული სათათბიროს წევრი.
8. სხდომის თავმჯდომარე, სხდომის გახსნისას, ახალგაზრდულ სათათბიროს მოახსენებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს და მათ თანმიმდევრობას.
9. ახალგაზრდული სათათბიროს გადაწყვეტილების პროექტები განიხილება სხდომაზე თუ იგი შეტანილია შესაბამისი სხდომის დღის წესრიგში.
10. სხდომის თავმჯდომარე მოვალეა, უზრუნველყოს ამ დებულებით დადგენილი წესების დაცვა, აზრის თავისუფალი გამოხატვა და საკითხის სრულყოფილი განხილვა.
11. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება ამ საკითხის წარმომდგენი ახალგაზრდული სათათბიროს წევრის მოხსენებით.
12. მოხსენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ახალგაზრდული სათათბიროს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს უფლებას აძლევს, საკითხთან დაკავშირებით დასვან კითხვები. კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აცხადებს დისკუსიას/დებატებს და ახალგაზრდული სათათბიროს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს შეუძლიათ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
13. სხდომის თავმჯდომარე უზრუნველყოფს, რომ განსახილველი საკითხის „მომხრეებისა" და „მოწინააღმდეგეების" აზრი პროპორციულად იქნას გამოხატული.
14. დისკუსიის/დებატების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარის წინადადებით განსახილველი საკითხი დგება კენჭისყრაზე ან ხდება გადასვლა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხზე, თუ ახალგაზრდული სათათბიროს არც ერთი წევრი არ გამოთქვამს განსხვავებულ აზრს.
15. ახალგაზრდული სათათბიროს სხდომაზე გამოსვლის ფორმებია:
ა) მოხსენება;
ბ) შეკითხვები მომხსენებელთან;
გ) დისკუსია/დებატები განსახილველ საკითხზე;
დ) მომხსენებლის დასკვნითი სიტყვა;
ე) ახალგაზრდული სათათბიროს მიერ ასარჩევი კანდიდატის სიტყვა და შეკითხვები კანდიდატთან;
ვ) წინადადების შეტანა სხდომის წარმართვის ან კენჭისყრის წესის შესახებ;
ზ) მისაღებ გადაწყვეტილებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა;
თ) შეკითხვა, განმარტება, განცხადება, ინფორმაცია, მიმართვა.
16. თუ გამომსვლელი გადაუხვევს განსახილველ საკითხს ან ხმარობს შეურაცხმყოფელ სიტყვებს, სხდომის თავმჯდომარე ჩამოართმევს მას სიტყვის უფლებას.
17. თუ სხდომის დროს დაიწყო უწესრიგობა, რომელიც შეუძლებელს ხდის სხდომის გაგრძელებას და სხდომის თავმჯდომარემ მისი აღკვეთა ვერ შეძლო, სხდომა გადაიდება მეორე დღისთვის.

18. სხდომაზე მომხდარი ინცინდენტის შესახებ მსჯელობს ახალგაზრდული სათათბირო, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება ახალგაზრდული სათათბიროს წევრის გაურთხილების შესახებ ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
19. სხდომაზე დამსწრე პირს, წინასწარი ნებართვის გერეშე, მაგრამ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, უფლება აქვს, ამ დებულებით დადგენილი წესით დასვას შეკითხვა მომხსენებლებთან, გამოთქვას მოსაზრება, გააკეთოს განმარტება, განცხადება, ინფორმაცია ან მიმართვა.
20. თუ სხდომაზე დამსწრები პირი ხელს უშლის სხდომის ნორმალურ მსვლელობას, სხდომის დავმჯდომარე აძევებს მას სხდომიდან.
21. კენჭისყრის სახეებია: ღია და ფარული კენჭისყრა.
22. ახალგაზრდული სათათბიროს წევრს უფლება აქვს უარი თქვას კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე, კენჭისყრის სახის მიუხედავად.
23. ახალგაზრდული სათათბიროს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს ახალგაზრდული საოათბიროს სხდომის თავმჯდომარე. ოქმი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ახალგაზრდული სათათბიროს სხდომის ადგილი და დრო;
ბ) სხდომაზე დამსწრე წევრების ჩამონათვალი;
გ) განხილვის საგანი;
დ) კენჭისყრის შედეგები;
ე) მიღებული გადაწყვეტილება.
24. ახალგაზრდული სათათბიროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება საჯაროდ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში, მასობრივი საინფორმაციო ან საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით.

მუხლი 15. ახალგაზრდული სათათბიროს გასვლითი სხდომა
1. ახალგაზრდული სათათბიროს საქმიანობაში ახალგაზრდების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება ახალგაზრდული სათათბიროს გასვლითი სხდომა მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში.
2. გასვლითი სხდომის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას იღებს ახალგაზრდული სათათბირო ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 16. ახალგაზრდების მიერ ახალგაზრდული სათათბიროსადმი საჯარო მიმართვა
1. ნებისმიერ ახალგაზრდას და/ან ახალგაზრდების ჯგუფს აქვს უფლება, საჯაროდ მიმართოს ახალგაზრდულ სათათბიროს.
2. საჯარო მიმართვად მიიჩნევა ახალგაზრდული სათათბიროს გადაწყვეტილების ან მოქმედების შეფასების, ახსნა-განმარტების მოთხოვნის ან განსახილველი საკითხის დაყენების შემცველი განცხადების გამოქვეყნება მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ან მისი გავრცელება საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით.
3. ახალგაზრდული სათათბირო ვალდებულია, პასუხი ან ახსნა-განმარტება გამოქვეყნოს და გაავრცელოს მასობრივი საინფორმაციო ან საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებით, ხოლო დაყენებული საკითხი შეიტანოს ახალგაზრდული სათათბიროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

მუხლი 17. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის შეხვედრა ახალგაზრდებთან
1. ახალგაზრდული სათათბიროს წევრი, ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარესთან შეთანხმებული განრიგის მიხედვით, ვალდებულია, მინიმუმ თვეში ერთხელ მოაწყოს შეხვედრა

ახალგაზრდებთან ერთეულში, იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ ასეთი შეხვედრები ჩატარდება ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.
2. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის შეხვედრა ახალგაზრდებთან შეიძლება გაიმართოს წინასწარ შედგენილი დღის წესრიგით ან მის გარეშე.
3. შეხვედრის დღის, საათის, ადგილის და დღის წესრიგის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ახალგაზრდებს ეცნობებათ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე მაინც.

მუხლი 18. ახალგაზრდული სათათბიროს და მისი წევრის ანგარიში
1. ახალგაზრდული სათათბიროს წევრი მოვალეა, წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს წერილობითი ანგარიში ახალგაზრდებს.
2. ანგარიშის წარდგენის დღის, საათის, ადგილის და არსებობის შემთხვევაში, დღის წესრიგის შესახებ ახალგაზრდებს ეცნობებათ ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც.
3. ანგარიშის მოსმენისას დამსწრეებს შესაძლებლობა აქვთ, დასვან კითხვები, გამოთქვან მოსაზრებები და შეაფასონ ახალგაზრდული სათათბიროს წევრის საქმიანობა.
4. ახალგაზრდული სათათბიროს წევრის ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ.
5. ახალგაზრდული სათათბირო კვარტალში ერთხელ აწვდის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.
6. ახალგაზრდული სათათბირო მინიმუმ წელიწადში ერთხელ აწყობს საინფორმაციო შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერთან.
7. ახალგაზრდული სათათბირო წელიწადში ერთხელ მაინც აღგენს და აქვეყნებს ახალგაზრდული სათათბიროს მუშაობის ანგარიშს.

მუხლი 19. ახალგაზრდების აზრის შესწავლა
1. სავალდებულოა ახალგაზრდების აზრის შესწავლა ამ დებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობების შესასრულებლად.
2. ახალგაზრდების აზრის შესწავლის ფორმებია:
ა) ახალგაზრდების გამოკითხვა.
ბ) კვლევა.
გ) ინტერაქტიული შეხვედრები.
დ) ინტერაქტიული გამოკითხვები კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით.
3. ახალგაზრდების აზრის შესწავლის შედეგები ქვეყნდება და სავალდებულოა მათი განხილვა ახალგაზრდული სათათბიროს სხდომაზე.

მუხლი 20. ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირება
1. ახალგაზრდების აზრის შესწავლის და მათთან შეხვედრების შედეგად ახალგაზრდული სათათბირო განიხილავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს მუნიციპალიტეტში კონკრეტული პროექტების განხორციელების შესახებ.
2. ახალგაზრდული სათათბირო, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით და თანხობრივი დაფინანსების ფარგლებში, აფასებს წარმოდგენილ ინიციატივებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის მერისთვის წარსადგენად განსახორციელებელი ინიციატივების შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა სამი მეოთხედით.
3. მუნიციპალიტეტის მერი ამტკიცებს „ახალგაზრდების მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამას", რომლითაც განიხილება ინიციატივების წარდგენის წესი და ვადები, კონკურსის პირობები და სხვა საკითხები, რაც ამ დებულებით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 21. ახალგაზრდული სათათბიროსწევრის ქცევის სტანდარტი
1. ახალგაზრდული სათათბიროს წევრი ვალდებულია:

ა) იყოს პუნქტუალური;
ბ) პატივისცემით მოეპყრას კოლეგებს;
გ) დროულად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
დ) მონაწილეობა მიიღოს სათათბიროსსხდომებსა და მუშაობაში;
ე) თვალყური ადევნოს მიმდინარე მოვლენებს და იყოს პროაქტიური;
ვ) გასცემდეს და იღებდეს უკუკავშირს კონსტრუქციულად;
ზ) არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგებსა და სხვა პირებს;
თ) მზად იყოს დახმარების გასაწევად და მისაღებად;
ი) იკისროს პასუხისმგებლობა წინამდებარე დებულების შესრულებაზე.

მუხლი 22. ახალგაზრდული სათათბიროს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ახალგაზრდულ სათათბიროს შეუძლია კოორდინატორთან შეთანხმების საფუძველზე მოახდინოს ცვლილებების და დამატების შეტანა ახალგაზრდული სათათბიროს დებულებაში, რომელიც მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 23. გარდამავალი დებულებები

1. ახალგაზრდული სათათბიროს პირველი სხდომა ტარდება ამ დებულების ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში.
2. ახალგაზრდული სათათბიროს პირველ სხდომას იწვევს ახალგაზრდული სათათბიროს კოორდინატორი, რომლის ვინაობაც განისაზღვრება დებულების ძალაში შესვლიდან ერთი კვირის ვადაში.
3. ახალგაზრდული სათათბიროს პირველი სხდომის დღის წესრიგი მოიცავს ახალგაზრდული სათათბიროს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევას და ახალგაზრდული სათათბიროს სტრუქტურის დადგენას.

წავიკითხე და ვეთანხმები

31.12.2022

ახალგაზრდული სათათბირო # Youth Council

დავით ვაჩეიშვილი